საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ. თერჯოლა 21.11.2025 წ

ან. ჭანტურიძის ქ.№7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე; 2. ლაშა ლანჩავა; 3. ნინო ოქრუაძე; 4. გიორგი ყაზაიშვილი; 5. ერეკლე კირკიტაძე; 6. იუზა უგრეხელიძე; 7. ჯემალ ისაკაძე; 8. გიორგი თურქაძე; 9. ვლადიმერ მაკარიძე; 10. ეკა ბერძენიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - ფიქრია ბუსკივაძე.

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი

კვორუმი: 6 წევრი

დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად

სხდომის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი - არცერთი

<u>დღის წერიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა - იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული ცვლილებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-18 მუხლს **დაემატა შემდეგი შინაარსის 3[1]** პუნქტი:

,,3[1]. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ახორციელებენ საკრებულოს კომისიების მუშაობის კოორდინაციას საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული სფეროების მიხედვით.

ასევე ასრულებენ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიცემულ დავალებებს.''

მითითებული ჩანაწერი რეგლამენტში, ემსახურება საკრებულოს მიერ, საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებისათვის რეგულარული უფლებამოსილების განსაზღვრას.

2. კომისიის თავმჯდომარემ იურიდიულ საკითხთა კომისიას ასევე მოახსენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, რომელიც ეხებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებას. მომხსენებლის განმარტებით: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 23 მაისს მიიღო დადგენილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა

საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ", აღნიშნული დადგენილებით საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 21 წევრით, რომელსაც განკარგულებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით:

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტსა და განკარგულებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი: არცერთი

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების პროექტი და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" განკარგულება დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე